

6 გზა თუ როგორ შეუძლიათ სერტიფიცირებულ საჯარო ბუღალტრებს (CPAs) არსებული სიტუაციის უკეთესობისკენ შეცვლა

გამოქვეყნებულია AICPA Communications -ის მიერ, 6 მაისი, 2020



ჯანდაცვის მუშაკებს და მოწინავე ხაზზე მომუშავე პირებს უზარმაზარი ამოცანა აკისრიათ საზოგადოების უსაფრთხოების, სათანადო სანიტარულ - ჰიგიენური პირობების და სურსათის მიწოდების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ბუღალტრები და საფინანსო სფეროს სპეციალისტები კი პასუხისმგებელნი არიან კომპანიების გაძლოლაზე ეკონომიკური აღდგენის პერიოდში.

თქვენ ახლა უფრო მეტად ხართ საჭირო ვიდრე ოდესმე. ქვევით წარმოდგენილია ექვსი გზა, რომლის მეშვეობითაც შეგიძლიათ სიტუაციის შეცვლა.

1. მცირე ბიზნესის დახმარება ფუნქციონირების გაგრძელებასა და სამუშაო ადგილების შენარჩუნებაში

მცირე საწარმოებს COVID -ით გამოწვეულ მრავალრიცხოვან პრობლემებთან გამკლავება უწევთ და დამოკიდებულნი არიან თქვენი როგორც ექსპერტების რეკომენდაციაზე, მათ შორის, ხელფასების დაცვის პროგრამის დეტალებთან და აპლიკაციის წარდგენის პროცესთან დაკავშირებით. ამ აუდიო ჩანაწერში ექსპერტები განმარტავენ აპლიკაციის პროცესის ძირითად მხარეებს და „თაუნჰოლის“ სერია [\(კორონავირუსთან დაკავშირებული დახმარების, ხელშეწყობის და ეკონომიკური უსაფრთხოების აქტი \(CARES Act\) და ხელფასების დაცვის პროგრამა\)](#) გვთავაზობს უახლეს ინფორმაციას სახელმწიფოსა და კერძო სექტორის პარტნიორობების (PPP) და CARES აქტის შესახებ.

მოვლენების ყოველდღიური სწრაფი ცვლილების პირობებში რთულია რამე არ გამოგრჩეს. AICPA -ს კორონავირუსის რესურსცენტრს შეუძლია სიახლეებით, ინსტრუმენტებით და რესურსებით დახმარების გაწევა.

2. საზოგადოების წევრების დახმარება, რომლებსაც ყველაზე მეტად ესაჭიროებათ ფინანსური დახმარება

აშშ-ს მთავრობამ სტიმულირების ჩეკები გამოუშვა, მაგრამ ცალკეულ ფიზიკურ პირებს, რომელთაც არ წარუდგენიათ 2018 ან 2019 წლის საგადასახადო დეკლარაცია ონლაინ ფორმის შევსება დასჭირდებათ. სერტიფიცირებული ბუღალტრები საზოგადოებას ეხმარებიან იმ ფიზიკური პირებისა და არაკომერციული ორგანიზაციებისთვის ინფორმაციის გაზიარებით, რომლებსაც ურთიერთობა აქვთ

დაბალი სოციალური სტატუსის მქონე მოქალაქეებთან. აქ წარმოდგენილია ინსტრუქციები, თუ როგორ დაეხმაროთ იმ პირებს, რომლებიც არ წარადგენენ საგადასახადო დეკლარაციას.

3. ადამიანების დახმარება კრიზისის ფინანსური ზემოქმედების გადატანაში

თუ თქვენ სერტიფიცირებული ბუღალტერი ხართ ფინანსური დაგეგმვის სფეროში ალბათ უკვე გქონდათ შეხვედრა პანიკაში მყოფ რამდენიმე კლიენტთან და სცადეთ მათი დამშვიდება და დარწმუნება.

არავის შეუძლია საბაზრო ცვლილებების პროგნოზირება, მაგრამ არსებობს ფულად ნაკადებთან დაკავშირებული ჰკვიანური სტრატეგიები, რომლებიც გრძელვადიანი გეგმის საფუძვლის როლს ასრულებენ. მოუსმინეთ წამყვან ექსპერტებს ამ თემასთან მიმართებით (ისევე როგორც კონვენტაციის, განმეორებითი ოპტიმიზაციის, რეფინანსირების და ა.შ. შესახებ) პერსონალური დაფინანსების დაგეგმვის ამ აუდიოჩანაწერებში. ამასთან [ერთად, კორონავირუსთან დაკავშირებული პერსონალური დაფინანსების დაგეგმვის რესურსებიდან](#) მიიღებთ ინფორმაციას, რაც მოგცემთ კლიენტებთან კომუნიკაციის და თქვენი როგორც საიმედო მრჩევლის როლის გაძლიერების საშუალებას ამ გაურკვეველ პერიოდში.

4. ორგანიზაციაში აღდგენის ღონისძიებების ხელმძღვანელობა

ორგანიზაციები დაფინანსების ფუნქციას სტრატეგიული მითითებების მისაწოდებლად განიხილავენ, რომელიც მათ მისცემს კრიზისიდან წარმატებით გამოსვლის საშუალებას. თუ თქვენ სერტიფიცირებული საჯარო ბუღალტერი ან გლობალური მენეჯმენტის ნაფიცი ბუღალტრის (CGMA) წოდების მფლობელი ხართ, სავარაუდოდ გიწევთ ლიკვიდურობის სტრესის მართვა, მიწოდების ჯაჭვში არსებული რისკების შერბილება და ორგანიზაციის მოდელის გადახედვაზე ფიქრი შემოსავლების ალტერნატიული შესაძლებლობების განსახილველად. თქვენ ალბათ სავარაუდოდ ასევე ახორციელებთ გაუთვალისწინებელ სიტუაციებთან გამკლავების გეგმებს ახალ რეალობაში კომპანიის დასახმარებლად.

[COVID-19 -თან დაკავშირებით შექმნილი მენეჯერული აღრიცხვის რესურსების გვერდი](#) იძლევა ბმულებს *FM Magazine* -ს შესაბამის სტატიებზე, აუდიო ჩანაწერებზე და მომავალ ღონისძიებებზე და სახელმძღვანელოდ გვთავაზობს ინსტრუმენტებს და რესურსებს. ესენია:

- [რისკის მართვის ინსტრუმენტი](#)
- [CGMA რისკების სკალა](#)
- [აუდიტის კომიტეტის საკონტროლო კითხვარი](#)

5. კლიენტების გაფრთხილება თაღლითობის და კიბერუსაფრთხოების საკითხების შესახებ

თაღლითები ცდილობენ არსებული გარემოს გამოყენებას და ქმნიან დახვეწილ სქემებს გულუბრყვილო ადამიანებისგან ფულის გამოძალვის მიზნით. თაღლითური სქემები გულისხმობს დამაზიანებელი პროგრამების გამოყენებას, გამომძალველი პროგრამების გაშვებას, სახელმწიფო მოხელეების იდენტობით სარგებლობას და ყალბი ვებგვერდების შექმნას საქველმოქმედო შემოწირულობებისთვის.

COVID-19 -თან დაკავშირებული სქემების პრევენციის, გამოვლენის და გამოძიების მიზნით განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა სერტიფიცირებულ საჯარო ბუღალტრებზე, მათზე, ვინც ფინანსური კრიმინალისტიკის ან საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტები არიან.

თქვენ კლიენტებს ეხმარებით ყურადღების გამახვილებით მუდმივად ცვალებად ლანდშაფტზე, ინფორმაციის დიდი მოცულობის პირობებში, ანალიზის და ცოდნის საშუალებით იმისათვის, რომ მათ შეძლონ გადაწყვეტების გამონახვა თაღლითობის და კიბერუსაფრთხოების პრობლემების თავიდან ასაცილებლად.

- ამ აუდიო ჩანაწერში განხილულია [თუ როგორ შეუძლიათ ბუღალტრებს კორონავირუსთან დაკავშირებული თაღლითობის იდენტიფიკაცია და პრევენცია](#).
- ეს ვებგვერდები (როგორებიცაა [კორონავირუსთან დაკავშირებული ექსპერტ-კრიმინალისტიკები და შეფასების რესურსები](#) და [კორონავირუსთან დაკავშირებული ტექნოლოგიური რესურსები](#)) გვთავაზობს სხვა დამხმარე ინფორმაციას.

6. კლიენტების დახმარება მათ ბიზნესებზე COVID-19 -ის ფინანსური ზემოქმედების შეფასებაში

რამდენადაც საპასუხო ღონისძიებები გლობალური პანდემიის მიმართ იცვლება, პირებს, ვინც სერტიფიკატებს ფლობენ ფინანსურ კრიმინალისტიკაში და აკრედიტებული შემფასებლები არიან, წამყვანი როლი ექნებათ შესასრულებელი ეკონომიკური აღდგენის პროცესში. კლიენტებს და დამსაქმებლებს დახმარება დასჭირდებათ ბიზნესის წყვეტილობასთან და ეკონომიკური ზიანის მოთხოვნებთან, შეფასებასთან და შესაძლოა გაკოტრებასთან დაკავშირებით.

ვთვლით, რომ დასაფასებელია რასაც თქვენ აკეთებთ ეკონომიკის აღდგენისთვის. გარემოებების სწრაფი, ყოველდღიური ცვლილების პირობებში ჩვენ ვიცით, რომ რთულია ფეხი აუწყო მოვლენებს. AICPA -ს კორონავირუსის რესურსცენტრი უზრუნველყოფს უახლესი ინფორმაციის, ინსტრუმენტების და რესურსების მიწოდებას.

სერტიფიცირებული საჯარო ბუღალტრები და გლობალური მენეჯმენტის ნაფიცი ბუღალტრები მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენენ. თქვენი ფინანსური ცოდნა, გამოცდილება და უნარები ზუსტად ისაა, რაც ბიზნესს და ჩვენს გლობალურ ეკონომიკას სჭირდება კრიზისის დასაძლევად და აღსადგენად. კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას ყველაფრისთვის რასაც თქვენ აკეთებთ.